● გაიხსნა ჯონდო მარიდაშვილის ფონდი (იხ. მე-2 გვ.).

● იყო ასეთი გუნდი (იხ. მე-3-მე-4 გვ.).



● ხატავს მანუჩარ მაჩაიძე (იხ. მე-2 გვ.).



● ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა (იხ. მე-2 გვ.).

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

19 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 242-243 (10 656) ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, სულ ახლახან, საფრანგეთში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში, სადაც, ჩვენმა ათმა სპორტსმენმა 14 მედალი მოიპოვა. იქვე, ქალაქ შამბერში, ჩატარდა კონგრესი, რომელზედაც სამბოს მსოფლიო ახალი ფედერაცია შეიქმნა. მისი წევრი ერთ-ერთი დამფუძნებელის სტატუსით, საქართველოცაა (დოკუმენტი მარცხნივ).

— საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრმა ბატონმა კახა ასათიანმა დაგვავალა სამბოს მსოფლიოს ფედერაციის კონგრესზე საკითხი დაგვესვა, მიეღოთ მიმართვა მსოფლიოს ქვეყნებისადმი საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური აღიარების თხოვნით. მოხარული ვართ, რომ ეს თხოვნა შევასრულეთ — თქვა საფრანგეთში ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრის პირველმა მოადგილემ მურთაზ მნათობიშვილმა. აქვე (მარჯვნივ) გთავაზობთ დოკუმენტს, რომელიც კონგრესმა მიიღო. დოკუმენტში ნათქვამია: „ვიმედოვნებთ, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც დაბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში, შეეცდებიან დაარწმუნონ თავიანთი მთავრობები, რათა მათ ცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლობა ქვეყნისა, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს, გამოხატა თავისი ნება რეფერენდუმით“. (დოკუმენტზე არაა იმ ქვეყნების წარმომადგენელთა ხელმოწერა, რომლებიც კონგრესის მუშაობაში არ მონაწილეობდნენ).

ანალოგიურ თხოვნაზე კონგრესმა მომავალ სხდომამდე უარი უთხრა პალესტინის დელეგაციას.



FEDERATION MONDIALE DE SAMBO
DEFENSE-PERSONNELLE

CONGRES CONSTITUTIF

ATTESTATION

Nous soussignés, Président et Secrétaire Général de la FEDERATION MONDIALE de SAMBO - Défense-Personnelle, certifions que :

MM MNATOBICHVILI Mourtaz

Représentant de la Nation de : GEORGIE

a été élu lors du Congrès constitutif de la Fédération Mondiale de SAMBO - Défense Personnelle au titre de MEMBRE PERMANENT du Conseil pour une période de SIX ANNEES à compter de la date du Congrès, le JEUDI 05 DECEMBRE 1991 en prélude aux Championnats du Monde de SAMBO, à CHAMBERY - SAVOIE OLYMPIQUE - FRANCE -

En outre, la NATION : GEORGIE

est, de plein droit, Membre fondatrice de la Fédération Mondiale de SAMBO, Défense-Personnelle.

Pour servir et valoir ce que de droit.

A Chambery - France, le 05 Décembre 1991

Le Président de la F. M. S — Le Secrétaire Général de la F.M.S



SOUTIEN PAR LES PAYS DU MONDE

Nous souhaiterions que les représentants des différentes Nations, une fois rentrés chez eux, interviennent auprès de leurs gouvernements pour la reconnaissance de la GEORGIE indépendante qui s'est exprimée par référendum en ce sens le 09 Avril 1991.

- ALGERIE
- ALLEMAGNE
- ANGLETERRE
- ANGOLA FRANCISCO
- ARMENIE
- BIELARUSSIE
- BURUNDIE
- CAMEROUN
- CANADA Tanya Douchet
- ESPAGNE
- ESTONIE
- FRANCE GERARDS Franck
- GEORGIE
- IRAN
- ITALIE
- JAPON
- KAZAKHSTAN
- LETTONIE
- MAROC
- MOLDAVIE
- PALESTINE
- PORTUGAL
- ROUMANIE
- RUSSIE
- SENEGAL
- TUNISIE
- TURQUIE
- ZAIRE
- MADAGASCARE
- JORDANIE
- SUEDE

PRESIDENT DE LA FEDERATION DE SAMBO.
Mr. LABROUSSE Etienne
SECRETAIRE GENERAL.
Mr. ESNAL Louis

CHAMBERY, le 05 Décembre 1991
1 heure 30.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი მედალი გადაეცათ სამბოში მსოფლიო ჩემპიონებს და პრიზიორებს

შეხვედრა ევერესტის გმირთან

ქართველმა მთამსვლელმა ფეხი შედგა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე — ჯომოლუნგმაზე. თბილისელი რომან გიუტაშვილი, რომელმაც ამერიკელ მაზურთან ერთად განახორციელა ეს ასვლა, ამ დღეებში, როგორც ვწერდით, შინ დაბრუნდა.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში შეხვედრა მოუწყვეს მამაც მთამსვლელს. მინისტრმა, ბატონმა კახი ასათიანმა წარმატება მიულოცა ამ შესანიშნავ სპორტსმენს და აღნიშნა, რომ ევერესტზე საქართველოს სამფეროვანი დროშის აფრიალება უდიდესი გმირობა იყო, ეს წარმატება გვირგვინად დაედგა ქართველ მთამსვლელთა საერთო ღვაწლს. მინისტრმა რ. გიუტაშვილს შემდგომი წარმატებები უსურვა სუვერენული და დამოუკიდებელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

* * *

20 დეკემბერს 24-დან 01 საათამდე

პარასკევს, 20 დეკემბერს, ე. წ. მაგნიტური დღეა. გეოფიზიკოსები გვირჩევენ, ამ დღეს განსაკუთრებით ფრთხილად ვიყოთ 24-დან 01 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო

საქართველოს რესპუბლიკის ქართული ჭიდაობის ფედერაცია

საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა

თბილისის სპორტის სასახლე

დაჯილდოება: გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცემათ ფულადი პრემიები: I ადგილისთვის — 2000 მან., II ადგილისთვის — 1500 მან., III ადგილისთვის — 1000 მან. ეს, რაც შეეხება წონით კატეგორიებს. აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულ მოჭიდავეს ენიჭება აბსოლუტური ჩემპიონის წოდება, დაჯილდოვდება ოქროს მედლითა და ფულადი პრემიით 10 000 მანეთის ოდენობით. II პრიზიორი მიიღებს ვერცხლის მედალს და ფულად პრემიას — 4000 მანეთს. III ადგილზე გასულს გადაეცემა ბრინჯაოს მედალი და ფულადი პრემია 2 000 მანეთის ოდენობით.

ამონაწერი დებულებიდან: შეჯიბრება ჩატარდება ქართული ჭიდაობის მოქმედი წესებით. ფალავნობაზე დაიშვებიან 1973 წელს და უფრო ადრე დაბადებული ათლეტები ოთხ წონით კატეგორიაში. (78 კგ, 84, 90, და 90 კგ-ზე მძიმე). თითო წონაში გამოვა 16 მოჭიდავე, სულ კი იასპარეზებს 64 ფალავანი.

21-22 XII 1991

შეჯიბრების პროგრამა: 21 დეკემბერი. მონაწილეთა აწონვისა და კენჭისყრის შემდეგ 11 საათზე დაიწყება წინასწარი შეხვედრები. 16 საათზე მოეწყობა ჩემპიონატის საზეიმო გახსნა, მერე კი გაგრძელდება წინასწარი შეხვედრები.

22 დეკემბერი. შეჯიბრება დაიწყება 11 საათზე. მოეწყობა ჯერ წინასწარი შეხვედრები, მერე ნახევარფინალური და ფინალური ბრძოლები, გამარჯვებულთა დაჯილდოება.

ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

პრობლემებს რა გამოლევს...

საქართველოს სპორტული თამაშები

— საფიქრალ-განსასჯელი მართლაც ბევრი გვაქვს. რესპუბლიკაში ტყვიისა თუ სასტენდო სროლის განვითარებას უამრავი რამ უშლის ხელს. ძველ პრობლემებს თამაშებზე სხვაც დაემატა, მათი გამოსწორება კი მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. — ასე დაიწყო საუბარი რესპუბლიკის სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, მსოფლიო ექსჩემპიონმა სასტენდო სროლაში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თამაზ იმნაიშვილმა, როცა ვკითხე, კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა თამაშების შედეგებით-მეთქი.

— თამაშებისთვის მზადება ფედერაციამ დროულად დაიწყო. — აგრძელებს ბატონი თამაზი — გვინდოდა რესპუბლიკური მიღწევებით დაგვემშვენებინა ეს საინტერესო და სასარგებლო ღონისძიება, მაგრამ ...მხოლოდ ერთი რეკორდი დამყარდა: ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, მშვილდოსანმა ნატო ნასარიძემ 50-მეტრ მანძილზე გააუმჯობესა ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის ქეთევან ლოსაბერიძის რეკორდი. და მაინც, კმაყოფილნი ვართ, რადგან მთელ თამაშებზე, რომლის პროგრამაში სამ ათეულზე მეტი სახეობა იყო, ნატოს რესპუბლიკური რეკორდი ერთადერთი აღმოჩნდა. სხვა რეკორდების გაუმჯობესებას ბევრმა რამემ შეუშალა ხელი...

რესპუბლიკაში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ ყველაზე მეტად ჩვენ დაგვაზარალა. დადგა თვით თამაშების გადავადების საკითხი. მადლობა ღმერთს, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ გარისკეს და ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა, ოღონდ ეგ იყო, ტყვიისა და სასტენდო სროლა მოიხსნა პროგრამიდან. არადა, რეკორდებს ტყვიის სროლაში ველოდით.

● **კონკრეტულ მიზეზებზე ორიოდე სიტყვით...**

— სასროლი ინვენტარის — თოფების, პისტოლეტების, ვაზნების გატაცების შიში! თუმცა ამ მარცხს მაინც ვერ გადავურჩით — დაკეტილი სეიფებიდან გაიტაცეს იარაღი... ეს მოხდა თამაშებამდე, თამაშების შემდეგაც. ვარკეთილის სტენდის საცავები გატეხეს. საქართველოს განათლების სამინისტროს „მარჯვე“ დიღმის კომპლექსის ტირიდანაც წაიღეს იარაღი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტირზეც მიიტანეს იერიში... ჰოდა, ასეთ პირობებში მართლაც სარისკო იყო სასროლეთებზე იარაღით სპორტსმენთა გამოჩენა.

● **არ შეგვიძლია არ გკითხოთ, იარაღის გამტაცებლებს თუ მიაგნეს?**

— ვერა, ბევრი ცდის მიუხედავად, კვალს ვერ მიაგნეს. აბა, ის რა კაცია, რომელიც სასროლეთისკენ გზას უკეტავს ნინო სალუქვაძეს, ილია ჩაგანავას, გია შენგელიას, სხვებს...

— ამაზე მეტი პრობლემა რა იქნება — საუბარს აგრძელებს ფედერაციის გენერალური მდივანი გივი ბოსტოღანაშვილი — სპორტსმენებს ვარჯიში მოენატრათ. როგორ გინდა, მზად შევხვდე, თუნდაც იმ თითო-ოროლა საერთაშორისო ასპარეზობას, რომლებში მონაწილეობასაც ვახერხებთ ყოფილი საკავშირო სახსპორტიდან გამოყოფის მერე. ვარჯიში ძალიან უჭირთ ქუთაისში, ოზურგეთში, სხვა რეგიონებში: უჭირთ კი არა, ველარ ახერხებენ იარაღზე „მონადირეთა“ შიშით...

...სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციაში ხვალინდელ დღეს მაინც იმედით უყურებენ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მზად შეხვდნენ „გამოდარებას“, როცა სროლის მოყვარულებს ადრინდელივით, თავისუფლად შეეძლებათ ცეცხლის ხაზზე გასვლა, შინაურ პრობლემებს სხვა გასაჭირიც ემატება — ხარისხიანი სპორტული იარაღისა და ტყვიაწამლის შოვნა მეტისმეტად გაძნელებულა...

— რამდენჯერმე პირადად ვიყავი ტულის იარაღების ქარხანაში, რა პირობები არ შევთავაზე, რა თანხა, რა ბარტერული გაცვლა... არაფერი გამომივიდა. საწარმოში გადაუწყვეტიათ: ტულის ქარხანამ არ შეასრულოს იმ რესპუბლიკების დაკვეთები, სადაც „ცხელი წერტილები“ არსებობს, — გვიხსნის იმნაიშვილი.

— ანალოგიური მდგომარეობაა ვაზნებით უზრუნველყოფის საქმეში. კრასნოზავოდსკში ორჯერ გახლდით და ორჯერვე ხელცარიელი დავბრუნდი. სპორტულ იარაღს, მოგეხსენებათ, ვაზნებიც განსაკუთრებული სჭირდება — ამას უკვე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თამაზ ლეკიშვილი ამბობს.

● **გამოდის, რომ ყველა გზა მოჭრილია...**

— დიახ! მეტისმეტად შევიზღუდეთ, — გვეთანხმება იმნაიშვილი — მაგრამ იმედით ვცოცხლობთ. რაც უფრო გვიჭირს, მით უფრო მონდომებით ვიბრძვით. კონტრაქტების დამყარებას მაინც ვახერხებთ. ამაში სსრკ-დან გასულ რესპუბლიკებში მცხოვრებ კოლეგებთან ძველი ნაცნობობა გვეხმარება, ღია პირველობებში მონაწილეობაზე უარს არ ვამბობთ. ნოემბრის დამლევს, კიევში, სუვერენული ქვეყნების თასის გათამაშების ზონალურ ტურნირში, პირველად იასპარეზეს ჩვენმა ტყვიის მსროლელებმა. იქ სალუქვაძემ მოიპოვა უძლიერესის სახელი. წინ ამ თასის გათამაშების ფინალია — მალე ლვოვში გამოვლენ ნინო, ილია ჩაგანავა; კიდევ რამდენიმე ძლიერ მსროლელს გავგზავნით. მშვილდოსნები ჩებოქსარში, ჩუვაშეთის ღია ჩემპიონატზე იასპარეზებენ, ნატო ნასარიძე კი თურქეთის ზამთრის ღია ჩემპიონატზეა მიწვეული — იგი ხომ ზაფხულში ამ ქვეყნის ჩემპიონი გახდა...

...მადლიერების გრძნობით ისიც თქვეს, რომ ხელვაჩაურში, საქართველოს თასის გათამაშებაზე საგანგებოდ ჩასულა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის კომპოზიციური მასალების კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი, საერთაშორისო არბიტრი ედუარდ ახნაზაროვი, მან ეკა აბაიშვილსა და სერგო ბერიძეს 2400 მანეთის საერთო ღირებულების ისრების თითო კომპლექტი (12-12 ისარი) გადასცა უსასყიდლოდ.

კეთილ მეზობლობას წინ რა უდგას.

ოთარ გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განი, განი, ფალავნებო!

ფალავნობას საქართველოში საუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მწყობრი და ორგანიზებული სახე ამ უდავოდ პოპულარულმა და ხალხის საყვარელმა შეჯიბრებამ 20-იანი წლებიდან მიიღო. სამწუხაროდ, ფალავნობაში გამარჯვებულთა სრული და ამომწურავი სიის მიგნება ერთობ ძნელი აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ შეჯიბრება გარკვეულ პერიოდებში არ ტარდებოდა რეგულარულად, ზოგიერთი ტურნირის ოქმი კი დაიკარგა. ამიტომ გამარჯვებულთა გვარების დაზუსტება ზოგ შემთხვევაში გამოკითხვის წესით ხდებოდა.

სია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, შესაძლოა უზუსტო იყოს, მაგრამ მას, სხვათა შორის, განმეორებით ვბეჭდავთ იმის იმედით, რომ ვინმე გამოგვეხმაურება, გაგვიზიარებს თავის მოსაზრებას, მოგვაწვდის რაიმე ცნობას,. დოკუმენტს და ამ გზით დადგინდება ჭეშმარიტება. ჩვენ წინასწარ ვუხდით მადლობას ყველას, ვინც გაირჯება, თავს შეიწუხებს და რაიმე დაგვეხმარება ამ საქმეში. ეროვნული სპორტის მატიანის მოწესრიგება მამულიშვილური ვალია. იგი საჭიროა, არა მარტო ჩვენთვის, თანამედროვეებისთვის, არამედ მომავლისთვისაც.

მაშ ასე, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ და გადავხედოთ საქართველოს ფალავანთა სიას:

1927	შალვა გზირიშვილი (საგარეჯო)
1928	შალვა რჩეულიშვილი (თბილისი)
1937	არსენ მეკოკიშვილი (საგარეჯო)
1944	არჩილ ონაშვილი (თბილისი)
1945	ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა)
1946	ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა
1947	ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა)
1948	ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა)
1949	ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა)
1953	სიმონ მაისურაძე (თბილისი)
1957	ზაქარია მუხიაშვილი (თბილისი)
1958	ამირან ვარდოშვილი (თბილისი)
1959	ანზორ კიკნაძე (თბილისი)
1960	ანზორ კიკნაძე (თბილისი)
1961	ანზორ კიკნაძე (თბილისი)
1963	ანზორ კიკნაძე (თბილისი)
1964	ანზორ კიკნაძე (თბილისი)
1967	ბუღდან ბალაკაშვილი (გორი)
1969	გივი კახაბრიშვილი (თბილისი)
1970	შოთა გულიაშვილი (თბილისი)
1971	შოთა გულიაშვილი (თბილისი)
1972	შოთა ჩოჩიშვილი (გორი)
1973	ოთარ ყურაშვილი (თბილისი)
1974	ოთარ ყურაშვილი (თბილისი)
1975	ოთარ ყურაშვილი (თბილისი)
1976	თემურ ხუბულური (გორი)
1977	შოთა ჩოჩიშვილი (გორი)
1978	აბესალომ წიკლაური (თელავი)
1979	მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი)
1980	ტარიელ მუთოშვილი (ახმეტა)
1981	შოთა ხაბარელი (თბილისი)
1982	მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი)
1983	დავით დავითაშვილი (ახმეტა)
1984	მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი)
1985	ჯემალ მჭედლიშვილი (თბილისი)
1986	ჯემალ მჭედლიშვილი (თბილისი)
1987	მალხაზ ბერუაშვილი (თბილისი)
1988	გელა ბერუაშვილი (თბილისი)
1989	მალხაზ ბერუაშვილი (ქარელი)
1990	გიორგი გაჩეჩილაძე (ზესტაფონი).





ლოგიკურია ეს უცნაურობა

გულისა არ იყოს, ამ შემთხვევაში, ვერც გონებას უბრძანებ: უყურებ ამ სურათებს — ნატურმორტს, პორტრეტს, პეიზაჟს, სპორტულ თემასთან საერთო რომ არაფერი აქვთ, და... გონებაში საფეხბურთო „ფრაგმენტები“ გაკრთება, გულშემატკივარი თუ ბრძანდებით და ახლაც ცხადად გახსოვთ, 70-იანი წლების მიწურულის თბილისის „დინამოს“ უკვე ლეგენდად ქცეული მატჩები. ალქმის ეს უცნაურობა კი სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია, რადგან ამ სურათების ავტორი მანუჩარ მაჩაიძე გახლავთ.



„თბილისელები ხატავენ“ — ასე ეწოდა გამოფენას, რომელიც ვერის ბაღში მოაწყვეს ფირმებმა: „ნარიყალამ“ და „თეთრმა გალერეამ“. ავტორთა შორის მრავლად იყვნენ „არაპროფესიონალები“, რომლებსაც პროფესიული და პიროვნული წარდგენა არ სჭირდებათ — რეზო ესაძე, რეზო გაბრიაძე, მიხეილ ჭიაურელი, მანუჩარ მაჩაიძე, ზაზა კახიანი... ცხადია, გამოფენამ ფერწერის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.



დღეს გთავაზობთ მანუჩარ მაჩაიძის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებული ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებს, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო.

გაიხსნა ჯონდო მარიდაშვილის დახმარების ფონდი

სამწუხაროდ, სპორტი თავისებური რისკიცაა და არაერთი შესანიშნავი ათლეტი დაინვალიდებულა უშუალოდ შეჯიბრების ან ვარჯიშის პროცესში მიღებული ტრავმის შედეგად.

ჯონდო მარიდაშვილი — ამ ჭაბუკი აკრობატისთვის 1988 წლის თებერვალი და სსრ კავშირის ჩემპიონატი გამოდგა საბედისწერო. მაშინ იგი საბჭოთა ნაკრების წევრი იყო, მოპოვებული ჰქონდა მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედალი; არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი...

ჯონდო მარიდაშვილი დღეს ხეიბარია, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო ყურადღებას არ აკლებს. კარგა ხანია, დღის წესრიგში დგას და თანდათან გვარდება უცხოეთში სამკურნალოდ მისი გამგზავრების საკითხი. ამ დღეებში მშენბანკის ნაძალადევის რაიონის მრეწვმშენბანკის განყოფილებაში გაიხსნა ჯონდო მარიდაშვილის დახმარების ფონდის ანგარიში, რომლის ნომერია, 000164301 მფო 521727.

გაწეული საქველმოქმედო დახმარების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ „ლელოს“ რედაქციაში.

რა ხდება ქვეყანაზე

● **ნიუ-იორკი.** აშშ-ის ჩოგბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა და კაპიტანმა ტომ გორმენმა დევისის თასის მომავალი წლის გათამაშების განაცხადში შეიყვანა ანდრე აგასი, პიტ სამპრასი (ერთეულთა შეხვედრები), კენ ფლეჩი და რობერტ სეგუსო (წყვილთა შეხვედრა). თასის გათამაშების ახალი ციკლის პირველ ორთაბრძოლას ამერიკელები გამართავენ 31 იანვარს — 2 თებერვალს არგენტინის გუნდთან.

● **ელ-კუვეითი.** ევრაზიის პირველი თამაშები, რომლის გამართვა დაგეგმილი იყო გაისად ნიუ-დელიში, 1993 წლისთვის გადაიტანეს. ასეთი განცხადება გააკეთა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ უმრაო სინგხმა. მიზეზი გახლდათ შეჯიბრებისადმი სპონსორების სრული უყურადღებობა.

● **სტოკჰოლმი.** შვეციის ჰოკეისტთა ჩემპიონატზე გათამაშდა 22 ტური. ლიდერობს „მალმიო“, რომელსაც 34 ქულა აქვს. მეორე და მესამე ადგილებზე არიან „ფარიესტადი“ — 29 ქულა და „იურგორდენი“ — 25 ქულა.

● **ტოკიო.** იაპონელმა ვეტერანმა მხედარმა ტაკემი სასაკიმ, რომელიც ამჟამად 50 წლისაა და იპოდრომზე გამოსვლა ჯერ კიდევ 1960 წელს დაიწყო, ამ ცოტა ხნის წინ ექვსი ათას მეხუთასე დოლი მოიგო. ბოლო გამარჯვების შემდეგ სასაკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სპორტს ჯერ თავს არ დაანებებს.

● **ჰელსინკი.** ტურკუს ჰოკეისტთა კლუბი ტპს 41 ქულით ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია. მას სამი ქულით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფი „იოკერიტი“.

ფეხბურთის ახალი ამბები

ლ. იუჰანსონი უარყოფს

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ უეფას განზრახული აქვს ამ კვირას ჟენევის თათბირზე გადაწყვიტოს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მონაწილეობის საკითხი ევროპის ჩემპიონატის ფინალში. „ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ლ. იუჰანსონმა განაცხადა: „ჩემი ნათქვამი პრესაში არასწორად გამოქვეყნდა“.

ლ. იუჰანსონმა კვლავ აღნიშნა: „ჩვენ საერთოდ არ ვაპირებთ განვიხილოთ საკითხი — ავუკრძალოთ თუ არა ამ ორ სახელმწიფოს მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, ვინაიდან იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციები ჯერჯერობით არსებობენ და ორივეს მოპოვებული აქვს ფინალში მონაწილეობის უფლება. ჩვენ მხოლოდ განვსაზღვრავთ, როგორ მოვიქცეთ მას შემდეგ, თუ ვითარება ამ ქვეყნებში შეიცვლება ევროპის ჩემპიონატის ფინალური თამაშების წილისყრის შემდეგ.“

17 დეკემბერს ჟენევაში გადაწყდა, რომ თუ საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია 16 იანვრისთვის მონაწილეობას ვერ მიიღებენ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის წილისყრაში (ვინაიდან აღარ ექნებათ სახელმწიფოებრივი სტატუსი), მათ ადგილებს დაიკავებენ იტალია (III ჯგუფი) და დანია (IV ჯგუფი).

უკრაინა, უკრაინა...

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ უარი თქვა საკავშირო ფედერაციის წევრობაზე და გავიდა მისი შემადგენლობიდან. უკრაინა ამიერიდან ჩაატარებს საკუთარ დამოუკიდებელ ჩემპიონატებს და მონაწილეობას არ მიიღებს საკავშირო შეჯიბრებებში.

მაგრამ, როგორც ამის თაობაზე განაცხადა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი ვიდენკომ, უკრაინელებს გარკვეული ურთიერთობა მაინც ექნებათ საკავშირო ფეხბურთთან. ასე, მაგალითად, უკრაინელი ფეხბურთელები მონაწილეობას მიიღებენ 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. გარდა ამისა, კიევის „დინამო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“ გამოვლენ მომავალი წლის ევროპის სათასო ტურნირებში.

1992 წლის სეზონიდან გაიმართება უკრაინის დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც უნდა დამთავრდეს ივნისისთვის, რათა უკრაინის ფედერაციამ მოასწროს ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირში განაცხადის შეტანა ევროპის შემდგომ საკლუბო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, 3 ივლისს კი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია იმსჯელებს ამ ორგანიზაციაში უკრაინის ფედერაციის გაწევრიანების თაობაზე.

არის სხვა პრობლემაც: მოსალოდნელია, რომ უკრაინელი ფეხბურთელები მოისურვებენ სხვა ქვეყნებში და რეგიონებში თამაშს. ამიტომაც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა დააწესოს სავარაუდო თანხა: მილიონი მანეთი უმაღლესი ლიგის ფეხბურთელის საფასურად.

იტალიელები უქმად არ არიან

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა არიგო საკიმ გუნდის შემადგენლობაში შეიყვანა 6 ახალბედა მოთამაშე კვიპროსის ნაკრებთან მომავალი შესარჩევი მატჩისთვის. მათ შორისაა იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 20 წლის ნახევარმცველი „მილანიდან“ — დემეტრიო ალბერტინი. ნაკრებში მიწვეულია კიდევ ერთი ფეხბურთელი „მილანიდან“ — ალბერიგო ევანი, აგრეთვე, დინო ბაჯიო და ალესანდრო ბიანკი — „ინტერიდან“ და მასიმო კარერა — „იუვენტუსიდან“.

საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევ ჯგუფში იტალიის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავოს, მას შაბათს ქ. ფოჯაში ფრედ ყოფნის კვიპროსელებთან. იტალიაში იმედოვნებენ, რომ, თუ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სსრ კავშირი აღარ იარსებებს, მის ადგილს დაიკავებს შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი.

„სპარტაკი“... ასე იწყებოდა, ასე მთავრდებოდა

მეტეორივით გაიელვა,
მერე კი გაჰქრა
უსასრულობაში...

არადა, მართლაც კარგი გუნდი იყო — შეკრული, შემტევი, ტექნიკური, ლამაზი ფეხბურთის მოტრფიალე. აოცებდა სტადიონებს, გულს უხარებდა გულშემატკივრებს. მწვრთნელიც დიდებული ჰყავდა — ანდრო ჟორდანია და მოთამაშეებიც საუკეთესო: ავთანდილ პაიჭაძე, ვლადიმერ ლომაია, კონსტანტინე და ნიკოლოზ გაგნიძეები, აჩიკო კილაძე, მიხაილ პირაევი, თემო გუგუნავა, მერაბ გამყრელიძე, იური კატანოვი, ივან შუდრა, ზურაბ ქვარიანი, რევაზ ოსაძე, ტარიელ ეპიტაშვილი, გივი იოსელიანი, ძმები ამირან და ირაკლი ბურჭულაძეები.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, დაგვიბერდნენ ძველი სპარტაკელები. მათ შემართებას, მართლაც რომ სპორტულ გმირობას, დღესაც ხშირად ვიგონებთ „სტაჟიანი“ გულშემატკივრები. გახსოვთ, ალბათ, 20 თამაში და... 20 მოგება?!.

ამიტომ იყო, ასე რომ გაგვახარა რედაქციაში ძმები ბურჭულაძეების — 69 წლის ამირანისა და მასზე ორი წლით უმცროსი ირაკლის მოულოდნელმა სტუმრობამ.

— სულ ორი სეზონი ვითამაშეთ უძლიერესთა ჩემპიონატში, ბევრი სასიამოვნო მოგონება შემოგვრჩა, ცხადია, ბევრიც უსიამოვნო, დღესაც რომ არ გვავიწყდება...

ერთხელ ვიღაცამ დაწერა და მერე რამდენიმე ჟურნალისტმა გაიმეორა მცდარი აზრი — „სპარტაკი“ ქუჩიდან აყვანილი, უცნობი ფეხბურთელებისაგან ჩამოყალიბდაო“. ასეთი რამ, გვერწმუნეთ, არ ხდება, ეს მხოლოდ ზღაპარში და ფანტასტიკურ ჟანრშია დასაშვები. იქნებ ვინმეს წაგიკითხავთ კიდეც დაუმარცხებელ „კლაბზუბის გუნდზე“, რომლის უცნობი ფეხბურთელები, თერთმეტი მოთამაშე ძმა მატჩს მატჩზე იგებდა და ერთბაშად გაითქვეს სახელი.

არა და კიდევ არა! თბილისის „სპარტაკის“ ყველა მოთამაშე საკმაოდ გამოცდილი, სპეციალისტთა წრეებში კარგად ცნობილი ფეხბურთელი იყო.

თავად განსაჯეთ: 1938-39 წლებში თბილისში არსებობდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა (პირველი და იმხანად ერთადერთი კავშირში), რომელსაც სათავეში შესანიშნავი თბილისელი სპეციალისტი ასირ გალპერინი ედგა. ხუთი გუნდი ჰყავდა ნიჭიერ ფეხბურთელთა ამ ჭეშმარიტ სამჭედლოს (სახელგანთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლის ღირსეულ წინამორბედს) — „მოლოტი“, „სიხარული“, „იმედი“, „აისი“ და „ბელურა“. ვაკეში ვარჯიშობდნენ — იქ, სადაც დღეს 26 მაისის სახელობის სტადიონია. გარი ჯაიანი, ვასილ დიაჩენკო, ივან შუდრა, თემო გუგუნავა, კონსტანტინ ლოგინოვი, გარი გარიშვილი, მერაბ გამყრელიძე, რევაზ ოსაძე, ამირან და ირაკლი ბურჭულაძეები, სპარტაკ ჯეჯელავა, იური კატანოვი, ირაკლი ქართველიშვილი, დავით ყიფიანი, ირაკლი დოლიძე, შოთა თათარაშვილი, ლადო ნარიმანიძე, არჩილ კობაიძე, ალბერტ ტარაიანი და სხვანი. ეს უკანასკნელი (მეტსახელად „ტარაკანა“), თუმცა, შემდგომში ცნობილი ოსტატი არ დადგა, მაგრამ იმიტომ ვახსენეთ, რომ იგი დიდად ეხმარებოდა ა. გალპერინს ნორჩთა ვარჯიშის დროს — ფაქტიურად, მეორე მწვრთნელი იყო. თუ როგორი ფეხბურთელები იყვნენ ისინი, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჭაბუკთა პირველ საკავშირო გათამაშებაში „მოლოტმა“ ყველას სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა. ბიჭების ოსტატობა სულ უფრო იხვეწებოდა, მაგრამ ომი დაიწყო და ფეხბურთისთვის ვიღას ეცალა. ერთადერთი გუნდი დარჩა ჩვენთან — „დინამო“, რომლის მწვრთნელად სწორედ ა. გალპერინი დანიშნეს. სკოლა დაიშალა, ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ. 1944 წელს ყველასთვის მოულოდნელად გამოცხადდა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობა. თბილისში სასწრაფოდ შეკრიბეს გუნდი — მიშა ჯოჯუა, ავთო პაიჭაძე, გარი გარიშვილი, ამირან ბურჭულაძე, ზურაბ ქვარიანი, ედუარდ ტანტიბა, ვლადიმერ დავთიანი, ფილიპე მახარაძე, გივი ვაშაძე, ზაალ ჯორჯიაშვილი და სხვანი, მწვრთნელად ანტუს გონელი დანიშნეს. შესარჩევ მატჩებში მოუგეს ბაქოს გუნდს (3:1), მერე როსტოველებს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მათ გუნდი ვერ გამოიყვანეს. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ მოგვიანებით (1948 წელს), თბილისის „შრომითმა რეზერვებმა“ კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე სტადიონზე დაამარცხა როსტოველი თანაკლუბელები ფეხბურთისთვის სარეკორდო ანგარიშით 36:0 (!). საინტერესოა, რომ თბილისელმა ბიძინა ტაბიძემ ამ მატჩში 16 ბურთი გაიტანა. მის გარდა, ჩვენს გუნდში თამაშობდნენ ვლადიმერ ელოშვილი, კუნო სიხარულიძე და სხვები. ისევ 1945 წელს დავუბრუნდეთ: ჩვენები ჩავიდნენ მოსკოვში, სადაც ეგრეთ წოდებულ „ნორჩი პიონერების“ სტადიონზე ანგარიშით 2:1 მოუგეს მოსკოვის ოლქის გუნდს და ფინალში მოსკოვის „შრომით რეზერვებს“ შეხვდნენ. მატჩი მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა. მსაჯი, რა თქმა უნდა, მოსკოველი იყო — პავლოვი. თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა... მთელი სამი მატჩი ითამაშეს — 0:0, 1:1 და, ბოლოს, 0:1. დიახ, ერთ-ერთი ეპიზოდის დროს მსაჯმა ჩვენს კარში გოლის გასვლა აღნიშნა, თუმცა, ბურთს არ გადაუკვეთავს მეკარე დავთიანის კარის ხაზი. ასე წააგებინეს ფინალი თბილისელებს. შეჯიბრების ორგანიზატორებმა, „ზედმეტად“ რომ არ გაცხარებულიყვნენ, საქართველოს ფეხბურთელებს... ჯილდოდ საკოსტუმეები დაურიგეს. ის-ის იყო, თბილისში დაბრუნდნენ, მოსკოვიდან დეპეშა მოვიდა — ჯოჯუას, პაიჭაძეს, დავთიანს, ა. ბურჭულაძეს, გარიშვილს, ქვარიანს, მახარაძეს, „ბ“ კლასის გუნდში, მოსკოვის „შრომით რეზერვებში“ იწვევდნენ სათამაშოდ. ფაქტიურად, ეს სპორტსაზოგადოების საკავშირო ნაკრები იყო, რომლის ძირითადი შემადგენლობის წევრი ერთდროულად შვიდი ქართველი ფეხბურთელი გახდა! გუნდის კაპიტანსა და მოთამაშე მწვრთნელს გავრილ კაჩალინს, (იმხანად 33 წლისა რომ იყო), ამის თაობაზე საყვედურობდნენ: „რად გინდა ამდენი ქართველი?!“. კაჩალინი მშვიდად იგერიებდა ოპონენტებს: „ასეთი კლასის ფეხბურთელი თერთმეტი რომ მყავდეს გუნდში, თერთმეტივეს დავაყენებდი ძირითად შემადგენლობაში!“ სხვათა შორის, კაჩალინს — წარსულში მოსკოვის „დინამოს“ სახელგანთქმულ ნახევარმცველს — სვერდლოვსკში ერთ-ერთ მატჩზე ჩასულს ბრმანაწლავის შეტევა დაემართა და ამის შემდეგ ფეხბურთი აღარ უთამაშია.

1945 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ ხუთ ქართველ ფეხბურთელს შესთავაზეს გადასვლა მოსკოვის „სპარტაკში“ (მისი მწვრთნელი მაშინ ვლადიმერ ვოლრატი იყო), მაგრამ ყველამ უარი თქვა. მხოლოდ მიშა ჯოჯუას გადაბირება შეძლო მწვრთნელმა აბრამ დანგულოვმა მოსკოვის „კრილია სოვეტოვში“; ფილიპე მახარაძე კი მოსკოვის „კრილია სოვეტოვში“ დარჩა. აქვე გადასვლა სთხოვეს ავთო პაიჭაძეს და ამირან ბურჭულაძეს, მაგრამ ორივემ თბილისში დაბრუნება არჩია. იმხანად, 31-ე საავიაციო ქარხნის დირექტორს, ფეხბურთის დიდ ქომაგს ვლადიმერ სალაძეს განზრახული ჰქონდა ავიატორთა კარგი გუნდი შეექმნა. ორივე ჩარიცხეს თბილისის „კრილია სოვეტოვში“ (ასე ერქვა ამ ქარხნის გუნდს). მალე მათ დაემატათ გარი გარიშვილი და ზურაბ ქვარიანი. ქარხნის გუნდში ამ ოთხეულის გარდა, თამაშობდნენ გარი ჯაიანი, რეზო ოსაძე, ტარიელ ეპიტაშვილი, ვანჩუკ ჩერედნიჩენკო, გივი ვაშაძე, სტეფან ბაგმანოვი, იური კატანოვი, გივი ბუილიშვილი და სხვები. 1946 წელს საკავშირო გათამაშების ამიერკავკასიის ტურნირში გუნდმა გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ „კრილია სოვეტოვი“ მინსკში გაემგზავრა ფინალურ ასპარეზობაზე. იქ მეორე ადგილზე გავიდა უჟგოროდის „სპარტაკის“ ძლიერი გუნდის შემდეგ, რითაც „ბ“ ჯგუფის საგზური მოიპოვა. ორი სეზონი დაჰყო იქ, მართალია, დიდ წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ კარგად შეთამაშებული კოლექტივის სახელი დაიგდო. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ქარხნის დირექტორს ვ. სალაძეს ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან, მან ცეკა-ში ითხოვა —კი, ბატონო, გამიშვით, მაგრამ ჩვენს გუნდს ნუ დაშლით, კარგი ფეხბურთელები არიანო. საბედნიეროდ, შეისმინეს მისი სიტყვები და 1948 წლის 15 მაისს გუნდი მთლიანად თბილისის „სპარტაკში“ გადაიყვანეს. აქვე უნდა ითქვას, რომ „სპარტაკში“ ამ დროისათვის უკვე თამაშობდნენ მიხაილ პირაევი, ვახტანგ გვარამაძე, კოტე მესხი, ვახტანგ სარქისოვი და სხვანი. მათ გაიოზ ჯეჯელავა ავარჯიშებდა. სპორტსაზოგადოების თავმჯდომარედ იმხანად ოთარ აბუაშვილი მუშაობდა, გუნდის უშუალო შეფს — სარეწაო კოოპერაციას კი შალვა აბაიშვილი ედგა სათავეში. ორივემ მართლაც ბევრი გააკეთა ახალი გუნდის საკეთილდღეოდ. თავდაპირველად თბილისის



სურათზე: თბილისის „სპარტაკი“ 1949 წელს — (მარცხნიდან) ავთანდილ პაიჭაძე, გივი იოსელიანი, ივან შუდრა, ირაკლი ბურჭულაძე, ვლადიმერ ლომაია, რევაზ ოსაძე, ამირან ბურჭულაძე, აჩიკო კილაძე, ნიკოლოზ გაგნიძე, იური კატანოვი, მერაბ გამყრელიძე.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

იხ. მე-4 გვ.

ჩემპიონატები, მატჩები

საფრანგეთი

XXII ტური. „ოლიმპიკი — „რენი“ 5:1, „ოსერი“ — „კაენი“ 5:1, „მონაკო“ — „კანი“ 3:1, „სენტ-ეტიენი“ — „სოშო“ 2:1, „ლანსი“ — „ნიმი“ 0:0, „ნანტი“ — „ტულონი“ 1:2, „ტულუზა“ — „მეცი“ 1:0, „პავრი“ — „სენ-ჟერმენი“ 1:1, „მონპელიე“ — „ლიონი“ 3:0, „ნანსი“ — „ლილი“ 1:2.

ბომბარდირები: პაპენი („ოლიმპიკო“) — 16 გოლი, ვეა („მონაკო“) — 14.

„ოლიმპიკო“	12	8	1	38-13	32
„მონაკო“	12	5	5	33-19	29
„კანი“	11	5	6	30-22	27
„სენ-ჟერმენი“	8	11	3	24-15	27

გერმანია

XXII ტური. „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ჰანზა“ 4:1, „აინტრაპტი“ — „დინამო“ 3:0, „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) — „კარლსრუე“ 1:0, „ბაიერნი“ — „ფორტუნა“ 3:1, „ჰამბურგი“ — „ბოხუმი“ 0:0, „ნიურნბერგი“ — „შალკე-04“ 0:1, „შტუტგარტი“ — „ვერდერი“ 1:1, „ვატენშაიდი“ — „დუისბურგი“ 2:0, „კაიზერსლაუტერნი“ — „კიოლნი“ 2:1, „ბაიერი“ — „კიკერსი“ 3:1.

ბომბარდირები: შაპუიზა („ბორუსია“, დორტმუნდი) — 11, ვალტერი („შტუტგარტი“) — 11.

„ბორ.“ (დორტ.)	12	6	4	40-31	30
„აინტრაპტი“	11	7	4	48-24	29
„შტუტგარტი“	11	6	5	37-19	28
„კაიზერსლ.“	11	6	5	37-21	28

ესპანეთი

XIV ტური. „სარაგოსა“ — „რეალ“ (მადრიდი) 1:1, „ათლეტიკო“ (მადრიდი) — „სევილია“ 0:3, „ბურგოსი“ — „ბარსელონა“ 2:2, „მალიორკა“ — „ალბაჩეტე“ 0:1, „ესპანიოლი“ — „ლა კორუნია“ 0:3, „რეალ“ (სოსიედადი) — „ლოგრონიესი“ 4:0, „ოვიედო“ — „სპორტინგი“ 1:0, „ოსასუნა“ — „ათლეტიკ“ 1:1, „ვალენსია“ — „ვალიადოლიდი“ 3:1, „ტენერიფე“ — „კადისი“ 3:1.

• **ბომბარდირები:** ხიერო („რეალ“ მადრიდი) — 11, მანოლო („ათლეტიკო“) — 9.

„რეალი“ (მად.)	12	2	0	36-8	26
„ათლეტიკო“	9	1	4	22-12	19
„ბარსელონა“	7	4	3	30-19	18

იტალია

XIV ტური. იტალიის გუნდებმა წლევანდელი ეტაპი დაამთავრეს. ჩემპიონატი განახლდება სამკვირიანი შესვენების შემდეგ. „სამპდორია“ — „იუვენტუსი“ 1:0, „ნაპოლი“ — „ფოჯა“ 3:3, „ბარი“ — „ატალანტა“ 0:0, „კალიარი“ — „კრემონეზე“ 0:0, „ინტერი“ — „ჯენოვა“ 2:2, „ლაციო“ — „მილანი“ 1:1, „პარმა“ — „რომა“ 3:1, „ტორინო“ — „ფიორენტინა“ 2:0, „ვერონა“ — „ასკოლი“ 1:0.

ბომბარდირები: ვან ბასტენი („მილანი“) — 9, კარეკა („ნაპოლი“) — 9.

„მილანი“	9	5	0	23-7	23
„იუვენტუსი“	9	3	2	17-7	21
„ნაპოლი“	6	7	1	24-13	19
„ლაციო“	4	8	2	19-14	16
„ჯენოვა“	5	6	3	17-15	16
„ინტერი“	4	8	2	14-14	16
„პარმა“	4	8	2	14-13	16
„ფოჯა“	5	5	4	21-17	15
„ატალანტა“	5	5	4	13-11	15
„ტორინო“	4	7	3	10-7	15
„რომა“	4	6	4	13-15	14
„ფიორენტინა“	5	4	5	17-13	14
„სამპდორია“	4	4	6	16-14	12
„ვერონა“	5	2	7	11-20	12
„კალიარი“	3	4	7	10-18	10
„კრემონეზე“	2	4	8	9-18	8
„ასკოლი“	1	3	10	7-25	5
„ბარი“	0	5	9	8-21	5

ინფორმაცია

● **ციურიხი.** ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიამ გადაწყვიტა, რომ „ფიფას არბიტრთა სიაში“ მოსახვედრად ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იქნება ინგლისური ენის ცოდნა.

გარდა ამისა, ის მსაჯები, რომლებიც ვერ გამოავლენენ შესაბამის ფიზიკურ მომზადებას და ვერ შეასრულებენ დადგენილ ნორმატივებს, არ დაიშვებიან სამსაჯოდ.

„სპარტაკი"... ასე იწყებოდა, ასე მთავრდებოდა

(დასასრული)

„სპარტაკის" მწვრთნელად ბორის პაიჭაძის დანიშვნა უნდოდათ, მაგრამ ფეხბურთის დიდოსტატმა უარი თქვა — ჯერ კიდევ ვთამაშობო და მწვრთნელად „დინამოდან" უკვე მერამდენედ „გაგდებული" ანდრო ჟორდანიას კანდიდატურა წამოაყენა. გუნდი შეუდგა ვარჯიშს და მართლაც არნახულ წარმატებას მიაღწია.

იმავე 1948 წლის სეზონში „სპარტაკმა" საკავშირო პირველობის ფინალურ ტურნირში (ზონებში გამარჯვებულნი) მესამე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კი დამაჯერებლად გაიმარჯვა ცენტრალურ ზონაში (22 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება, ბურთების შეფარდება 60:18) და ფინალურ შეჯიბრში გამოსვლის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტი მატჩები როსტოვის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა 2–30 ოქტომბერს. პირველი ჯგუფის ერთადერთი საგზურისათვის იბრძოდნენ ოდესის „პიშჩევიკი", ლენინგრადის „სუდოსტროიტელი", როსტოვის „დინამო", მოსკოვის ოლქის კალინინის სახელობის ქარხნის გუნდი, სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლი, ლვოვის „სპარტაკი" და თბილისის „სპარტაკი". ფავორიტებად თბილისისა და კალინინის ქარხნის (მას გამოცდილი სპეციალისტი ნიკოლაი გულიაევი ავარჯიშებდა) გუნდები ითვლებოდნენ. კარგი გუნდი ჰყავდათ მასპინძლებსაც (მწვრთნელი — ცნობილი მსაჯი ანატოლი შჩელჩკოვი) — ცენტრალური მცველი ივან ვარდიმიადი (იური ვარდიმიადის ძმა), ცენტრალური თავდამსხმელი გავრილ ბოგატელო (ერთხანს თბილისის „დინამოში" თამაშობდა), გუნდის კაპიტანი პიოტრ შჩერბატენკო (მარცხენა ინსაიდი). აქვე დავძენთ, რომ ლენინგრადელებს ძველი პეტერბურგელი ფეხბურთელი გიორგი გოსტეევი ავარჯიშებდა, ლვოველებს კი — ცნობილი სპარტაკელი მწვრთნელი ვიქტორ სოკოლოვი. ჩვენი გუნდი ტურნირზე ორი კვირით ადრე ჩავიდა. ფეხბურთელებთან ერთად, ტრადიციულად, გაემგზავრნენ ცეკა-სა და კომკავშირის „პასუხისმგებელი ამხანაგები", მაგრამ ყველაზე დიდი „დოპინგი" ჩვენი გუნდისთვის, ცხადია, თვით ბორის პაიჭაძე გახლდათ. პირველი შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: პირაევი, კატანოვი, შუდრა (ქვარიანი), ოსაძე, გუგუნავა, კილაძე, პაიჭაძე, კ. გაგნიძე, ლომაია, ი. ბურჭულაძე, გამყრელიძე, (ა. ბურჭულაძე). სასტარტო მატჩში ლვოველებთან „სპარტაკმა" გაიმარჯვა — 1:0, მომდევნო თამაშში ოდესელებთან კი ნულოვან ფრეს დასჯერდა. მერე დიდი ანგარიშით მოუგო ლენინგრადელებს — 4:0, დამარცხდა „კალინინელებთან" — 0:1. ამის შემდეგ იმარჯვა სვერდლოვსკის გუნდთან — 2:1 და ბოლო შეხვედრაში წააგო როსტოველებთან — 0:1. პირდაპირ უნდა ითქვას, მსაჯებს (შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო მოსკოველი ვიაჩესლავ მორგუნოვი) თავდაპირველად როსტოველთა „გაყვანა" ჰქონდათ დაგეგმილი, მერე კი ლენინგრადელთა „ქომაგობას" შეუდგნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ: თბილისელებმა, ოდესელებმა და „კალინინელებმა" ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და ახლა ამ სამ გუნდს შორის, ასე ვთქვათ, „ფინალის ფინალი" უნდა ჩატარებულიყო.

ირაკლი ბურჭულაძე: — ბიჭებმა იქვე, სასტუმრო „დონში" ფიცი დავდეთ, რომ გაგვეხარებინა ქართველი გულშემატკივრები. გივი იოსელიანმა რუსთაველიც კი ახსენა — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!" პირველ მატჩში მოვუგეთ ოდესელებს —2:1, თავის მხრივ მათ სძლიეს „კალინინელებს". გადამწყვეტ შეხვედრაში „კალინინის" გუნდთან ლომაიამ ძლიერი დარტყმით შორიდან ერთადერთი, გამარჯვების მომტანი ბურთი გაიტანა და უძლიერესთა ლიგის საგზურიც მოვიპოვეთ!

ამირან ბურჭულაძე:—საქართველოში დიდი ზარ-ზეიმით შეგვხვდნენ, თუმცა, ისიც გვითხრეს, ზოგიერთს თქვენი გამარჯვება მაინცდამაინც არ გაუხარდა, — რად უნდა საქართველოს მეორე გუნდიო! გორის სადგურში მატარებელში მსხდომთ ხილით გაგვიმასპინძლდნენ უხვად, მცხეთაში მანქანებით დაგვხვდნენ და გაგვაქანეს „იონას დუქანში" დიდ პურმარილზე. თბილისში ჩამოსულებს ქალაქის ირგვლივ მანქანებით საპატიო წრე შემოგვატარეს, ბოლოს ჩვენს პატივსაცემად გამართულ მიტინგზე მიგვიყვანეს, ვერის პარკში.

თბილისის „სპარტაკი" ახალი ფეხბურთელებით შეივსო, მოვიდნენ ზაურ კალოევი, ალიოშა კოტრიკაძე და გივი ფაცურია (35-ე საფეხბურთო სკოლიდან), ანატოლი ნორაკიძე, ძმები იური და აფანასი გრამატიკოპულოები (სოხუმის „დინამოდან"), აჩიკო ბერძენიშვილი და კუნო სიხარულიძე (თბილისის „ლოკომოტივიდან"), კიკა ხინთიბიძე (ქუთაისის „ტორპედოდან"), ჩვენს გუნდში მოვიდნენ აგრეთვე, გამოცდილი ცენტრალური თავდამსხმელი გიორგი აროშაძე (თბილისის „დინამოდან") და „მეკარეთა მეკარე" ვლადისლავ ჟმელკოვი (იგი ჯერ მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობდა, მერე კი, მცირე ხნით, თბილისელ არმიელთა გუნდში). „სპარტაკი" ახალი სეზონისათვის ოჩამჩირეში ემზადებოდა, წინა წლის გაზაფხულზე კი ქობულეთში ვარშიჯობდა, ძირითადი სავარჯიშო ბაზა მცხეთაში გვქონდა წყალჯომარდობის აუზთან. ისე კი, სადაც ბატონი ანდრო ჟორდანია მინდორს წააწყდებოდა, იქვე დანიშნავდა ვარჯიშს — საგურამო იყო, მუხრანი, თბილისი თუ მოსკოვი. თბილისში შეკრებისას სპარტაკელები ყოფილ სასტუმრო „ევროპაში" (მერე „რუსთავი") ცხოვრობდნენ...

უძლიერესთა ლიგაში 1950 წელს თბილისის „სპარტაკმა" დაამარცხა ისეთი გამოცდილი გუნდები, როგორიცაა ლენინგრადის „დინამო" (ნევისპირელთა ქალაქში), მოსკოვის „დინამო", ცდკა და 16 გუნდს შორის საპატიო მეცხრე ადგილზე გავიდა.

მომდევნო სეზონში „სპარტაკი" ასაკის გამო დატოვეს ამირან ბურჭულაძემ, ზურაბ ქვარიანმა და ტარიელ ეპიტაშვილმა. „დინამომ" „წაიყვანა" ავთო პაიჭაძე, კარლო გაგნიძე, არჩილ კილაძე, ნიკოლოზ გაგნიძე, მოგვიანებით — ზაურ კალოევი, ალიოშა კოტრიკაძე, ანატოლი ნორაკიძე, ედუარდ დალაქიანი, ცხადია, ყოველივე ამან ძალიან დაასუსტა გუნდი და იგი უკანასკნელ ადგილზე გავიდა. თბილისის „სპარტაკი", ფაქტიურად, დაიშალა. ორიოდე წლის შემდეგ ვახტანგ რამიშვილმა სცადა გუნდის აღდგენა, თითქოს შეძლო კიდეც, მაგრამ კოლექტივი მალე ისევ დაიშალა. ამის შემდეგ „სპარტაკი" აღარც აღორძინებულა. ასე დამთავრდა ამ ნიჭიერი პოპულარული გუნდის ისტორია.

...ძველი სპარტაკელები ყოველ წელს ორჯერ მაინც იკრიბებიან ერთად: 15 მაისს — იმ დღეს, როდესაც, ფაქტიურად, დაარსდა „სპარტაკი", და 1 ნოემბერს — როსტოვის გადასასვლელ ტურნირში მოპოვებული გამარჯვების დღის აღსანიშნავად. სამწუხაროდ, თანდათან მცირდება შეკრებილთა რიცხვი, აღარ არიან რეზო ოსაძე, იური კატანოვი, თემო გუგუნავა, ზურაბ ქვარიანი, ტარიელ ეპიტაშვილი, ვახტანგ გვარამაძე, აღარ არის ძველი გუნდიც. დარჩა მხოლოდ ლამაზი მოგონება, რომელსაც თბილისის „სპარტაკი" ჰქვია.

ოთარ ნოზაძე

ტექნიკუმის მოსწავლეთა გაკვეთილები კანადაში

კონტაქტები

ყოველმა სფერომ თავისი გზა უნდა ნახოს, რომელიც მას მსოფლიო თანამეგობრობის სამყაროში შეიყვანს. ამ გზას დიდი ხანია ეძიებს დამოუკიდებელი ქართული სპორტი და ზოგიერთ სახეობაში საკმაოდ წარმატებითაც. სულ ახლახან თავისუფალი ჭიდაობის წარმომადგენლებმა საფუძველი ჩაუყარეს კანადელ კოლეგებთან ურთიერთობას.

— „ტექნიკუმი — კოლეჯი", ასე შეიძლება ეწოდოს ურთიერთდაახლოებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს. კანადას ეწვია ჩვენი ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები, კანადაში კი მისი მასპინძელი იყო ქ. ბრემტონის სპორტის კოლეჯი — ამბობს დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე **თევდორე ბურგენიძე.**

● კანადელებთან ურთიერთობა, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ სპორტულ ხარბიელზე შეხვედრებით არ ამოიწურება. თავიდან, როცა „დამეგობრების პროგრამა" მუშავდებოდა, ერთობლივ საწვრთნო შეკრებებზეც იყო ლაპარაკი, ხომ არაფერი შეცვლილა?

— არა, ერთობლივი ვარჯიშების ჩატარება წინა პლანზეა წამოწეული. რა დასამალია, კანადელები თვლიან, რომ ქართველი ფალავნებისგან შეიძლება ბევრი რამ ისწავლო, სპორტის მომავალ სპეციალისტებს კი, რომლებიც ტექნიკუმში და კოლეჯში ეუფლებიან ცოდნას, გამოცდილების ურთიერთგაზიარება უდავოდ დაეხმარება სპორტის ამ სახეობის საიდუმლოების ღრმად წვდომაში.

● ესე იგი, ურთიერთობა დაიწყო პირველი ერთობლივი საწვრთნელი შეკრებით, რამდენდღიანი იყო იგი?

— ქართველი და კანადელი ფალავნები რვა დღე ვარჯიშობდნენ ერთად, ყოველდღიურად ორ-ორ საათს. საგულისხმოა, რომ მასპინძლებმა ყველა ვარჯიში ვიდეოფირზე გადაიღეს. როგორც თქვეს, ახლა მათ ხელთ აქვთ 16-საათიანი სასწავლო ფილმი პირობითი სახელწოდებით „ქართველ ფალავანთა გაკვეთილები". შემდეგ ჩავატარეთ ამხანაგური შეხვედრა კოლეჯის ნაკრებთან, რომელიც ჩვენებმა მოიგეს 6:2. მასპინძელთა გუნდში, სხვათა შორის, ერთი კანადის ჩემპიონიც იყო, რომელიც დამარცხდა სტუმართან შეხვედრაში.

● კანადა სპორტულ ქვეყნად არის ცნობილი. თუ მიაქციეთ ყურადღება ორგანიზაციულ საკითხებს.

— ცნობილია, რომ კანადაში განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებიან მასობრივ სპორტს, მათ ხომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აიყოლიეს ცნობილი ლოზუნგით „სპორტი ყველასათვის"...

— ძირითადად კოლეჯებში და უნივერსიტეტებში გვიწვევდნენ და გაოცებულნი დავრჩით სპორტისადმი საერთო ყურადღებით. ნებისმიერ სასწავლებელს 3-4 სპორტული დარბაზი აქვს, რომელიც ადრე დილიდან გვიან საღამომდე, 10 საათამდე მაინც, სულ დატვირთულია. ფიზიკური და სულიერი აღზრდა შესანიშნავადაა შერწყმული. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, 10 წელიწადში კანადა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყანა იქნება, სადაც, ალბათ, რეალობად იქცევა ჰარმონიულად სრულყოფილი საზოგადოების ოდინდელი საკაცობრიო ოცნება.

● როგორია სამომავლო გეგმები?

— 1992 წელი ოლიმპიადის წელიწადია, ამიტომ კანადელი ფალავნები საქართველოში საპასუხო ვიზიტით ვერ ჩამოვლენ. თუმცა, ოლიმპიადის შემდეგ თბილისში გვეწვევა ზემოხსენებული კოლეჯის დირექტორი, აგრეთვე ქვეყნის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი, რათა მომავალი ურთიერთობის ხელშეკრულება გავაფორმოთ.

დაბოლოს დავძენთ, რომ დელეგაციაში შედიოდნენ ტექნიკუმის დირექტორი ედიშერ მაჩაიძე, მწვრთნელები ვასილ ცუხიშვილი და თამაზ ბენდიანაშვილი, სპორტსმენები გიორგი ივანიშვილი, კახა ჯაბიძე, ზაალ და ივანე ბერიაშვილები, ლაშა ლომიძე, შალვა ბეგაშვილი, ვახტანგ ჯორბენაძე და ზურაბ ჩიხლაძე.

ესაუბრა თ. თომაშვილი.

ჭადრაკის სამყაროში

● იტალიელი ჭადრაკის მეცენატის, დოქტორ მაურიციო დავოლი მარანის თაოსნობით 27 დეკემბერს დაიწყება საშობაო სუპერტურნირი ჭადრაკში, რომელსაც ამ ქვეყნის პატარა ქალაქი რეჯო ემილია უმასპინძლებს. მაურიციო მარანიმ თვითონ დაასახელა ის ათი დიდოსტატი, ფიდეს ამ უმაღლესი, მეჩვიდმეტე კატეგორიის ტურნირში რომ იასპარეზებს. მონაწილეთა საშუალო რეიტინგია 2676. ჰონორარი იმდენად დიდია, რომ მარანის ეჭვი არ ეპარება, ტურნირი საინტერესო გამოდგება. აი, ვინ მიიწვია მან: გარი კასპაროვი (რეიტინგი 2770), ვასილ ივანჩუკი (2735), ანატოლი კარპოვი (2730), ბორის გელფანდი და ვალერი სალოვი (2665 თითოეულს), ალექსანდრე ბელიავსკი (2655), ვიშვანათხან ანანდი (2650), მიხეილ გურევიჩი, ლევ პოლუგაევსკი და ალექსანდრე ხალიფმანი (2630 თითოეულს).

● სიე-ჟუნის მიერ მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვებამ ნამდვილი საჭადრაკო ბუმი გამოიწვია ჩინეთში — საოცრად გაიზარდა მოსახლეობის დაინტერესება ამ თამაშით. ამ დღეებში პეკინში მოეწყო პირველი საერთაშორისო გუნდური მატჩი ყოფილ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებთან 4-4 დაფაზე. ვაჟთა შორის მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1, ქალთა დავა კი დამთავრდა ფრედ — 2:2. სიე ჟუნი და ქართველი დიდოსტატები მატჩში არ მონაწილეობდნენ.

● ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა რეიტინგები უკანასკნელი მონაცემების მიხედვით. ამან ერთგვარი გადაადგილება მოახდინა ძალთა ადრინდელ განლაგებაში. სიის სათავეში დარჩა გარი კასპაროვი. მისმა „აქციებმა" 10 ქულით აიწია და ახლა 2780 ქულა აქვს. ვასილი ივანჩუკს დააკლდა 15 ქულა და 2720 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მისი ადგილი დაიკავა ანატოლი კარპოვმა (2725 ქულა), თუმცა, მის ადრინდელ „მონაპოვარს" 5 ქულა „ჩამოეჭრა". შემდეგ მოდიან: ინგლისელი ნაიჯელ შორტი — (2685), ინდოელი ვიშვანათხან ანანდი (2670), ბორის გელფანდი (2665), ესტონელი ალექსეი შიროვი, ამერიკელი გატა კამსკი, არტურ იუსუპოვი და ვალერი სალოვი — 2655 ქულა თითოეულს. ფიდეს ამ სიაში მეთერთმეტეა უნგრელი ქალი იუდით პოლგარი (2555).

ედბერგი და სელეში — მსოფლიო ჩემპიონები

ლონდონი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (იტფ) შვედი სტეფან ედბერგი და იუგოსლავიელი მონიკა სელეში მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონებად გამოაცხადა.

ედბერგმა სეზონი ულიმღამოდ დაიწყო, მაგრამ მერე ბრწყინვალედ მოიგო აშშ-ის ღია ჩემპიონატი და ხუთი მომდევნო ტურნირი. იგი, ამავე დროს, უიმბლდონისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალისტი იყო, საფრანგეთის ჩემპიონატში კი მეოთხედფინალამდე მიაღწია. „დიდი მუზარადის" თასის გათამაშებაში მონაწილეობა ვერ მიიღო ტრავმის გამო.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია სელეშის წლევანდელ გამარჯვებათა ნუსხა, სადაც, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია წარმატებები ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატებში.

რედაქტორი
თენგიზ ზაჩეჩილაძე

ქაღალდის დეფიციტის გამო „ლელო" დროებით გამოდის კვირაში სამჯერ — სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

„სპორტპროგნოზი"

50-ე ტირაჟის შედეგები

(14-15 დეკემბერი)

1—1, 2—1, 3—2, 4—2, 5—2, 6—2, 7—2, 8—1, 9—2, 10—1, 11—2, 12—X, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. მე-9 წყვილის შედეგი განსაზღვრულია წინასწარი კენჭისყრით.

„სპორტპროგნოზი", 52-ე ტირაჟის პროგრამა (27-29 დეკემბერი)

		პროგნოზი			
მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში ახალგაზრდებს შორის (გერმანია)					
1. შვეცია — სსრკ	27.XII	10	10	80	X
2. აშშ — გერმანია	27.XII	80	10	10	1
3. ფინეთი — ჩსფრ	27.XII	50	10	40	1
ევროპის ჩემპიონთა თასი ჰოკეიში (გერმანია)					
4. „იურგორდენი" (შვეცია) — „დინამო" (მოსკოვი, სსრკ)	29.XII	30	10	60	X
სსრკ ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)					
5. „სტროიტელი" (სიქტივკარი) — „დინამო" (ალმა-ათა)	27.XII	40	20	40	2
6. „ვოდნიკი" (არხანგელსკი) — „ვიმპელი" (კალინინგრადი)	27.XII	50	10	40	1
7. „ენისეი" (კრასნოიარსკი) — „სიბსელმაში" (ნოვოსიბირსკი)	29.XII	70	10	20	1
8. „საიანი" (აბაკანი) — „კუზბასი" (კემეროვო)	29.XII	20	40	40	2
9. „სტარტი" (ნიჟნი ნოვგოროდი) — „სევერონიკელი" (მონჩეგორსკი)	29.XII	40	20	40	X
სსრკ ჩემპიონატი წყალბურთში (ვაჟები, უმაღლესი ლიგა)					
10. „ტორპედო" (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი" (მოსკოვი)	28.XII	60	30	10	2
11. „დინამო" (კიევი) — უმაღლესი სპორტული სკოლა (მინსკი)	28.XII	70	20	10	X
12. „შწფ (სევასტოპოლი) — „მოსკვიჩი" (მოსკოვი)	29.XII	30	10	60	2
13. „დინამო" (ლვოვი) — „დინამო" (მოსკოვი)	29.XII	20	20	60	1

„ლელო" რედაქცია განუხრელად ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრესის კანონით.
„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები: მ. ძეძამიძე, ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096
თბილისი, ვ. კოსტავას, 14.
დაწესებულებისათვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მარათე" — 99-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყველა მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გვაქვს. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, ვ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, ხელმოწერილია კორექტურაზე, [illegible], 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.